

სს „ლიბერთი ბანკის“ აქციონერთა საყურადღებოდ

2023 წლის 20 ივლისს ჩატარებულმა სს „ლიბერთი ბანკის“ (შემდგომში „ბანკი“) აქციონერთა ყოველწლიურმა საერთო კრებამ (შემდგომში „საერთო კრება“) მხარი დაუჭირა „ბანკის“ მიერ გამოშვებული კონვერტირებადი პრივილეგირებული აქციების (შემდგომში „პრივილეგირებული აქცია“) მფლობელთათვის 2022 წლის დივიდენდის (შემდგომში „დივიდენდი“) გაცემას, რომლის გადახდაც განხორციელდება შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

- „პრივილეგირებულ აქციებზე“ ჯამურად გადასახდელი დივიდენდის ოდენობა შეადგენს 776,115.28 ლარს;
- ერთ ცალ „პრივილეგირებულ“ აქციაზე გადასახდელი „დივიდენდის“ ოდენობა განისაზღვრება 0.17 ლარით (ჩვიდმეტი თეთრი);
- „დივიდენდის“ სააღრიცხვო თარიღად განსაზღვრულია 2023 წლის 04 აგვისტო;
- „დივიდენდის“ გადახდის თარიღად განსაზღვრულია 2023 წლის 21 აგვისტო.

„საერთო კრებაზე“ განხორციელებული ღია კენჭისყრის შედეგად, „საერთო კრების“ დღის წესრიგით განსაზღვრულ თითოეულ საკითხს მხარი დაუჭირა დამსწრე აქციონერთა 100%-მა.